საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის
მერია

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF ADJARIA
KHULO MUNICIPALITY
CITY HALL

წერილის ნომერი: **98-9823068211**
თარიღი: **09/03/2023**

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს

აგრარულ და გარემოს დაცვის

საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს

ბატონ ფრიდონ ფუტკარაძეს

ბატონო ფრიდონ,

თქვენს მიერ გამოგზავნილი №09-02-16/651 წერილის პასუხად, რომლითაც მოითხოვთ ინფორმაციას ხულოს მუნიციპალიტეტში (სოფლებში) სარწყავი წყლით მომარაგების მდგომარეობის შესახებ, გაცნობებთ, რომ არხების რეკონსტრუქციას 2019-2022 წლებში, მუნიციპალიტეტთან შეთანხებით გეგმავდა და ანხორციელებდა აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. მიუხედავად გატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, არის რიგი არხები რომლებიც წლებია არ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ სარწყავი წყლით მოსახლეობა სარგებლობს არამარტო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მოსარწყავად, არამედ სარწყავი წყალი უმეტეს შემთხვევაში მიედინება ღია არხებით, გაივლის გრძელ მონაკვეთებს, რაც საჭიროა პირუტყვის დასაწყურებლად და რიგ სოფლებში, ასაზრდოებს სასმელ წყალს.

რაც შეეხება არსებულ მდგომარეობას, სარწყავი არხები, ძირითადად განლაგებულია ფერდობებზე და რთულ გეოგრაფიულ ტერიტორიებზე, რომლებიც ხასიათდება მკაცრი ბუნებრივ -კლიმატური პირობებით, რაც იწვევს არხების ხშირ დაზიანებას, ასევე ხშირია მეწყრული პროცესებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე არხის პროფილის შესანარჩუნებლად საჭიროა ყოველწლიურად გაწმენდა რაც დღესდღეობით ერთ-ერთი გამოწვევაა.

აქვე მინდა გაცნობოთ, რომ წერილის დანართში წარმოდგენილი სარწყავი არხები ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს (განკ. გ-99,99230311. 31/01/2023 წ) გადაწყვეტილებით, ხულოს მუნიციპალიტეტის

მერიამ უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით, გადასცა აჭარის ავტონომირ რესპუბლიკას.

დანართი 1 ფურცელი

პატივისცემით

ვახტანგ ბერიძე

ხულოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი